

არაბული გავლენის პარალელური ძიებანი ქართულსა და ესპანურ ენებში

მაია წერედიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაია წერედიანის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბესელია, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია წერედიანი

30/01/2017

აბსტრაქტი

არაბული ცივილიზაცია ერთ-ერთი უდიდესთაგანი იყო მთელ მსოფლიოში და მან მნიშვნელოვანი კულტურული გავლენა მოახდინა არა მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებზე, არამედ მთელ ევროპაზე. საქართველოშიც და ესპანეთშიც არაბებს საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ და ადგილობრივ ისტორიასა და კულტურაში მათგან დატოვებული კვალი მეტად თვალსაჩინოა, რაც ენობრივ ნასესხობებში განსაკუთრებით ცხადად არის გამოხატული.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს არაბულის გავლენა ქართულ და ესპანურ ენებზე, თავმოყრილია შესაბამისი მასალა, გაანალიზებული და ურთიერთშედარებისა და ურთიერთშეპირისპირების გზით გამოვლენილია ის მსავსება-განსხვავებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდა არაბულ კულტურასთან მიმართებაში. აღნუსხულია სესხებათა მრავალი მაგალითი, შეჯერებულია ერთმანეთთან ესპანურ-ქართული მონაცემები, მაგრამ, რაც მთავარია, პირველად არის გამოვლენილი ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს ორივე ენა ერთსა და იმავე არაბულ სიტყვას სესხულობს. ნაშრომი იმითაც არის საინტერესო, რომ პირველად ცდილობს, შეისწავლოს კავშირი ისეთ სხვადასხვა სისტემის ენებს შორის, როგორებიც ესპანური და ქართულია. არაბული ნასესხობები ალბათ ერთადერთი არაპირდაპირი კავშირია, რომელიც ამ ენებს შორის არსებობს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არაბიზმები, შედარებითი ენათმეცნიერება, არაბული ენის გავლენა.

Abstract

The Arabic civilization is one of the most ancient in the world. Over its history, the Arabic empire ruled much of Asia, Africa, as well as some parts of Europe. At its height it led the world in the fields of science and art, and so it comes as no surprise it left a lasting mark its conquests evident still today.

Unfortunately due to historic hardships Arabic cultural heritage in the material sense has not been preserved in Georgia. In Spain on the other hand, Arab mosques and palaces from centuries ago still remain in tact and attract research scholars and tourists alike. For this and other reasons Arabic influence on various aspects of Spanish culture is a well studied and documented phenomena. While few physical remnants of the Arabic influence are left in Georgia, where it can be observed is in the study of Georgian literature and the rich influence of Arabic on the Georgian language itself.

Our research aims to examine and compare the Arabic influence on Georgian and Spanish languages. It analyzes relevant information and identifies similarities and differences between the two languages in regards to Arabic influence. The data gathered includes loanwords in each language and discusses the main fields of influence on Spanish and Georgian people according to our findings. We have also identified words of Arabic origin that have found their way in both Georgian and Spanish languages and note the very different meanings that those words have sometimes adopted. Arabic influence is probably the only link that these two languages share with each other. The paper compares for the first time the Georgian and Spanish languages through the medium of the language of a mutual conqueror, Arabic.

Key Words: Arabisms, loanwords, Arabic terminology in Georgian, Arabic Terminology in Spanish.